პრეს-რელიზი

თარიღი:	24 მარტი 2021წ.
კონტაქტი:	**ირმა გოგოტიშვილი** PwC საქართველო, მარკეტინგის & კომუნიკაციების ლიდერი King David ბიზნეს ცენტრი, მე-7 სართული, მ. ალექსიძის ქ. #12. თბილისი, 0171, საქართველო irma.gogotishvili@pwc.com **თამთა შერმადინი** PwC საქართველო, საკონსულტაციო დეპარტამენტის დირექტორი tamta.shermadini@pwc.com
გვერდი:	3

PwC საქართველომ, ავსტრალიის პროფესიული და ტრენინგის (VET) პროვაიდერთან, TAFE Directors Australia-თან თანამშრომლობით, განახორციელა მსოფლიო ბანკის პროექტის "საქართველო: მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში" ტექნიკური მხარდაჭერა.

24 მარტი 2021წ. თბილისი - PwC–იმ წარმატებით დაასრულა პროექტის ერთ-ერთი კომპონენტი **(i)** პროფესიული მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება და **(ii)** პროფესიული მასწავლებლების და დირექტორების კვალიფიკაციის ამაღლება სატრენინგო მოდულების შემუშავებით და განხორციელებით.

ახლახანს, მსოფლიო ბანკმა, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ და PwC საქართველომ აღნიშნეს პროექტის „მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში" წარმატებით დასრულება. პროექტი განხორციელდა დიდი ბრიტანეთის კარგი მმართველობის ფონდის (GGF) მიერ გაცემული გრანტის მხარდაჭერით და ქართველი პროფესიული განათლების ექსპერტებისა და მსოფლიო დონის საერთაშორისო განათლების სპეციალისტების ჩართულობით.

თამთა შერმადინი, PwC სქართველოს საკონსულტაციო დეპარტამენტის დირექტორი, პროექტის ხარისხის მართვის ხელმძღვანელი- "მოქნილი მუშაობის შესაძლებლობა და უნარები აჩვენა პროექტის მთელმა გუნდმა. მსოფლიო ბანკმა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, PwC-იმ, ადგილობრივმა და საერთაშორისო ექსპერტებმა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგებმა დინამიური თანამშრომლობის შედეგად უზრუნველყვეს პროექტის გრძელვადიანი მდგრადობა. ეს უდიდესი გამოცდილება იყო PwC საქართველოს საკონსულტაციო გუნდისთვის. პროცესი დიდი ჩართულობით მიმდინარეობდა, იყო საინტერესო, კარგად ორგანიზებული და შედეგებზე ორიენტირებული, რამაც განაპირობა მისი შესრულება უმაღლეს დონეზე და რაც მთავარია მოგვცა პროექტით განსაზღვრული სასურველი შედეგი. ერთის მხრივ, შეფასების ახალი ინსტრუმენტების შემუშავება ხელს შეუწყობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემის დახვეწას, ხოლო მეორეს მხრივ, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და დირექტორების შესაძლებლობების განვითარება უზრუნველყოფს ამ სექტორის შემდგომ გაძლიერებას. "

PwC საქართველოს და TAFE Directors Australia-ს თანამშრომლობამ პროექტი მნიშვნელოვანი შედეგებით უზრუნველყო:

- შემუშავდა მასწავლებელთა შეფასების **17 განსხვავებული ინსტრუმენტი,** რომელთაც ვალიდაცია გაიარეს **40 – ზე მეტი პროფესიული** მასწავლებლისა და ხარისხის მენეჯერის მიერ.

- დამოწმდა და ვალიდაცია გაიარა **11 პროფესიული კვალიფიკაციის 90 – ზე მეტმა** სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტმა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ.

- **60-ზე მეტმა პედაგოგმა** გაიარა ტრენინგი **28 სასწავლო მოდულში**, რომელიც მოიცავს პედაგოგიურ და დარგობრივ კვალიფიკაციებს. ჯამში 2021 წლის 29 იანვრიდან 2021 წლის 25 თებერვლის ჩათვლით ჩატარდა **226 სატრენინგო საათი.**

- პროფესიული სასწავლებლის დირექტორების **8 ტრენერმა** გაიარა ტრენინგი **4 სასწავლო მოდულში** - ადამიანური რესურსები (HR), უწყვეტი პროფესიული განვითარება, პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერა და გენდერული თანასწორობა და სოციალური ინკლუზია. ჯამში 2021 წლის 23 იანვრიდან 2021 წლის 7 თებერვლის ჩათვლით ჩატარდა **70 სატრენინგო საათი.**

ინტენსიური ტრენინგების შედეგად, პროფესიულ მასწავლებლების ტრენერთა ტრენინგის (ToT) მონაწილეებს, შეუძლიათ აჩვენონ ინტერაქტიული, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ტექნიკა, პრობლემების გადაჭრისა და პედაგოგიური უნარ-ჩვევები და თავდაჯერებულობა, რომელიც მათ სჭირდებათ მომავალში მასწავლებლების მოსამზადებლად.

რაც შეეხება პროფესიულ სასწავლებლების დირექტორთა ტრენერებს, პროექტის შედეგად ისინი აღიჭურვნენ შესაბამისი ცოდნით და ექსპერტიზით, რომ შეიმუშაონ და განახორციელონ საკუთარი სასწავლო პროგრამები პროფესიული სკოლის დირექტორების მოსამზადებლად.

„თვითშეფასების პროცედურების განხორციელება ყოველთვის გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, რადგან მათი დოკუმენტირების ტრადიცია არ არსებობდა. მე და ჩემმა კოლეგებმა დიდი ენთუზიაზმით და სრული ჩართულობით ჩვენი წვლილი შევიტანეთ პროექტის განხორციელებაში“ - **ბენეფიციარი, პროფესიული სასწავლებლის ხარისხის მართვის მენეჯერი, ქ. ქუთაისი.**

ლაშა ჯანელიძემ, PwC საქართველოს მმართველმა პარტნიორმა დასძინა - ”ჩვენთვის პატივი იყო გვეთანამშრომლა ისეთ მნიშვნელოვან პარტნიორებთან, როგორიცაა მსოფლიო ბანკი და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ამ ისტორიული და საქართველოს პროფესიული განათლების სისტემისათვის მნიშვნელოვანი პროექტის ფარგლებში. ვამაყობ ჩემი გუნდით, რომლებმაც გამოავლინეს განსაკუთრებული უნარ-ჩვევები და პროფესიონალიზმი პროექტის წარმატების უზრუნველსაყოფად და ჩვენი ფირმის პროფილის - როგორც საჯარო და კერძო სექტორების სანდო პარტნიორი საქართველოში - განსამტკიცებლად.”

PwC-ის შესახებ

PwC-ში ჩვენი მიზანია საზოგადოების ნდობის ამაღლება და მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტაში მათი დახმარება. ჩვენს ქსელში შემავალი ფირმები 155 ქვეყანაშია განთავსებული და მასში დასაქმებულია 284 000-ზე მეტი ადამიანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალხარისხიან

აუდიტორულ, საკონსულტაციო, საგადასახადო და იურიდიულ მომსახურებებს. მეტი ინფორმაციის მისაღებად და ასევე თქვენი მოსაზრებების გამოსახატავად გთხოვთ იხილოთ ვებ-გვერდი www.pwc.com/ge

PwC საქართველოს ოფისი თბილისში გაიხსნა 2005 წელს. ჩვენ, შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო ვმუშაობთ, რომ დავეხმაროთ ჩვენს კლიენტებს ადგილობრივ ბაზარზე, გახდნენ უფრო წარმატებულები და გლობალურად კონკურენტუნარიანები. დღეს თბილისის ოფისში დასაქმებულია 100-ზე მეტი პროფესიონალი.

"PwC" წარმოადგენს ფრაისუოთერჰაუსკუპერს ინტერნეიშენალ ლიმიტედ-ის კომპანიების ქსელს, რომელთაგან თითოეული არის ცალკე დამოუკიდებელი იურიდიული პირი. დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ www.pwc.com/structure

©2021 ფრაისუოთერჰაუსკუპერსი. ყველა უფლება დაცულია.